

UDC 336.7

SCOPUS CODE 1401

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-1-84-88>

საინვესტიციო ბანკი, როგორც საფონდო ბირჟის გარიგებების ძირითადი მონაწილე

გიორგი თურმანიძე ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: turmanidze.giorgi22@gtu.ge

რეცენზენტები:

მ. ჭელიძე, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: m.chelidze@gtu.ge

ნ. სესაძე, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: n.sesadze@seu.edu.ge

ანოტაცია. საინვესტიციო ბანკი გადამწყვეტ როლს ასრულებს საფონდო ბირჟაზე გარიგებების ხელშეწყობაში, მოქმედებს როგორც ძირითადი შუამავალი კომპანიებსა და ინვესტორებს შორის. ნაშრომი იკვლევს საინვესტიციო ბანკის მრავალმხრივ როლს საფონდო ბირჟის გარიგებებში. ანალიზებს, თუ რა მეთოდებით ახდენს ის გავლენას ბირჟის ეფექტურობაზე, ფასების სტაბილურობასა და ლიკვიდურობაზე.

სტატიაში განხილულია, თუ როგორ სპეციალიზდება საინვესტიციო ბანკი ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებზე და ასრულებს სხვადასხვა ფუნქციას. საინვესტიციო ბანკის ისტორიული ევოლუციის, მისი მარეგულირებელი გარემოსა და ბაზრის სტაბილურობაზე გავლენის შესწავლით, ხაზგასმულია

საინვესტიციო ბანკის პოზიტიური წვლილი საფონდო ბირჟების გარიგებებში.

საკვანძო სიტყვები: ინვესტორები; კომპანიები; საინვესტიციო ბანკი; საფონდო ბირჟა; ფასიანი ქაღალდები.

შესავალი

სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაციის (Standard Industrial Classification - SIC) კოდების სიაში საინვესტიციო ბანკი შედის „ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის ბროკერების“ ("Security and Commodity Brokers") და „დილერების“ ("Dealers") ჯგუფებში (ჯგუფები 621 და 622) [4]. ეს ძირითადი ჯგუფები მოიცავს დაწესებულებებს, რომლებიც დაკავებული-

ნი არიან ფასიანი ქაღალდების და სხვა ფინანსური კონტრაქტების ანდერრაიტინგით, შესყიდვით, გაყიდვით და საბროკერო მომსახურებით [2]. ერთ-ერთი უმსხვილესი საინვესტიციო ბანკი Goldman Sachs-ი საკუთარ თავს შემდეგნაირად განსაზღვრავს: Goldman Sachs Group, Inc. არის წამყვანი გლობალური საინვესტიციო საბანკო, ფასიანი ქაღალდების და ინვესტიციების მართვის ფირმა, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური მომსახურების ფართო სპექტრს ისეთი მნიშვნელოვანი კლიენტებისათვის, როგორებიც არიან კორპორაციები, ფინანსური ინსტიტუტები, მთავრობები და ინდივიდები [1].

ძირითადი ნაწილი

საინვესტიციო ბანკი ფოკუსირდება ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებზე, მათ შორის კორპორაციული ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და პირველად განთავსებაზე, დიდი პროექტების დაფინანსებაზე და ფასიანი ქაღალდების მეორეულ ბაზარზე შუამავლის როლის შესრულებაზე. აღნიშნული ბანკი პირველად გამოჩნდა, როგორც სპეციალიზებული საფინანსო ინსტიტუტი 1933 წელს აშშ-ში, როცა გლას-სტიგალის აქტმა (Glass-Steagall Act) შექმნა ჩარჩო, რომლის მიხედვითაც, კომერციულ ბანკს აეკრძალა პირდაპირი ჩარევა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. გლას-სტიგალის აქტი მიზნად ისახავდა მომხმარებლის დეპოზიტების დაცვას სპეკულაციური და მაღალი რისკის მქონე საინვესტიციო ოპერაციებისგან. საინვესტიციო ბანკი ფინანსურ რესურსებს მოიპოვებდა, როგორც საკუთარი ფასიანი ქაღალდების გამოშვებით, ისე კომერციული ბანკისგან მიღებული კრედიტებით, რომლებიც, ჩვეულებრივ, ფასიანი ქაღალდების გირავნობით

ხდება. ასეთი ბანკი ხშირად კომპლექსური ფინანსური კონგლომერატის ნაწილი ხდება და შედის საბანკო ჰოლდინგში ან ფინანსური კომპანიის შვილობილ კომპანიად წარმოგვიდგება [9].

პირველადი და მეორეული ბაზრები. პირველადი ბაზარი არის ისეთი ფინანსური ბაზარი, სადაც კორპორაცია ან სახელმწიფო ორგანო (ემიტენტი) ყიდის თავის ახალგამოშვებულ ფასიან ქაღალდებს, როგორიცაა აქციები ან ობლიგაციები, საწყის მყიდველზე. მეორეული ბაზარი არის ფინანსური ბაზარი, სადაც შესაძლებელია ადრე გამოშვებული ფასიანი ქაღალდების ხელახალი გაყიდვა.

ფასიანი ქაღალდების პირველადი ბაზრები საზოგადოებისთვის კარგად არ არის ცნობილი, რადგან ფასიანი ქაღალდების გაყიდვა თავდაპირველ მყიდველზე ხშირად ხორციელდება დახურულ კარს მიღმა. მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ხელს უწყობს ფასიანი ქაღალდების პირველად გაყიდვას პირველად ბაზარზე, არის საინვესტიციო ბანკი. ის ახორციელებს ხელმოწერას (ანდერრაიტინგს) ფასიან ქაღალდებზე, რაც საშუალებას აძლევს კორპორაციას მიიღოს გარანტია თავისი ფასიანი ქაღალდების განსაზღვრული ღირებულებით გაყიდვაზე. შემდეგ კი, იგი უზრუნველყოფს ამ ფასიანი ქაღალდების გაყიდვას ფართო მასებზე [3].

პირველადი საჯარო შეთავაზება (IPO). როდესაც კერძო კომპანია გადაწყვეტს, რომ სურს კაპიტალის მოზიდვა ფართო ინვესტორთა წრიდან, ის შეიძლება გახდეს საჯარო. ეს ნიშნავს, რომ კომპანია მიყიდის თავის ფასიან ქაღალდებს ფართო საზოგადოებას და საშუალებას მისცემს ინვესტორებს თავისუფლად ივაჭრონ აქციებით არსებული ფასიანი

ქაღალდების ბაზრებზე. კომპანიის მხრიდან პირველი აქციების გამოშვებას ფართო საზოგადოებისთვის ეწოდება პირველადი საჯარო შეთავაზება (Initial Public Offering, IPO). ბევრი კომპანიისთვის, IPO უნიკალური შესაძლებლობაა, მოიზიდოს დამატებითი ფინანსური რესურსები და დააჩქაროს ბიზნესის ზრდა. საჯარო შეთავაზების შემდეგ, კომპანიის აქციები ხდება მეტად ლიკვიდური, რაც დამფუძნებლებსა და ინვესტორებს საშუალებას აძლევს, აქციების გაყიდვით ფულადი შემოსავალი მიიღონ. გარდა ამისა, IPO პროცესი კომპანიებს ავალდებულებს წარადგინონ დეტალური ფინანსური ინფორმაცია, რაც მათ მენეჯმენტში უფრო გამჭვირვალე და ეფექტური მიდგომების დანერგვაში ეხმარება. ეს, თავის მხრივ, პოზიტიურად აისახება აქციონერების ინტერესებზე.

აქციების საჯარო შეთავაზება ორგანიზებულია საინვესტიციო ბანკის მიერ, რომელიც ამ პროცესში წარმოდგენილია ანდერრაიტერად. საინვესტიციო ბანკი, როგორც წესი, ქმნის ანდერრაიტერთა სინდიკატს სხვა საინვესტიციო ბანკებთან ერთად, რათა გაიზიაროს პასუხისმგებლობა აქციების გამოშვებაზე [7]. საინვესტიციო ბანკი ეხმარება კლიენტს კაპიტალის მოზიდვაში ანდერრაიტინგის საშუალებით, რომლის დროსაც საინვესტიციო ბანკი ყიდულობს ახალი ფასიანი ქაღალდების მთლიან რაოდენობას ემიტენტისაგან და ანაწილებს მათ ინსტიტუციურ და ინდივიდუალურ ინვესტორებზე. მომსახურებისთვის საინვესტიციო ბანკირები იღებენ ანდერრაიტინგის სხვაობას, ინვესტორებისგან მიღებულ ფასსა და იმ თანხას შორის, რომელსაც ისინი უხდიან ემიტენტ ფორმას [6].

კომპანიების უმეტესობა კაპიტალის ბაზარზე ფინანსური რესურსების მოპოვების მიზნით გადის, თუმცა ისინი არ არიან სპეციალისტები ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებში. ამ პროცესში საინვესტიციო ბანკი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან მას აქვს საჭირო გამოცდილება, ფართო კონტაქტების ქსელი და ორგანიზაციული სტრუქტურა, რაც ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას უფრო ეფექტიანს ხდის ინვესტორებისთვის. საინვესტიციო ბანკის მუდმივი ჩართულობა ფასიანი ქაღალდების შეძენა-გაყიდვის პროცესში შესაძლებელს ხდის, ეს მომსახურება ნაკლები დანახარჯებით განხორციელდეს.

IPO-ს პროცესის დასაწყისში, კომპანია ირჩევს ერთ ან რამდენიმე საინვესტიციო ბანკს, რომლებიც ეხმარება მათ განსაზღვრონ აქციების საწყისი ფასი. ამის შემდეგ, კომპანია ამზადებს ოფიციალურ დოკუმენტაციას და სარეგისტრაციო ფორმას (S-1), სადაც ასახულია კომპანიის ბიზნესმოდელი და განვითარების სტრატეგია [5].

შემდეგ ეტაპზე, კომპანია და მისი საინვესტიციო პარტნიორები განიხილავენ ბიზნესმოდელს ინვესტორებთან, ფონდების მენეჯერებთან და ანალიტიკოსებთან. ეს პროცესი კრიტიკულად მნიშვნელოვანია აქციების საწყისი ფასის განსაზღვრისთვის. ეს დისკუსიები ეხმარება კომპანიასა და პარტნიორებს შეარჩიონ ოპტიმალური ფასი, რომელიც მიმზიდველი იქნება ინვესტორებისთვის. საწყისი ფასის განსაზღვრის შემდეგ, კომპანია უშვებს ახალ აქციებს და მათ საფონდო ბირჟაზე წარადგენს. გაყიდული აქციებიდან მიღებული თანხა არის ძირითადი ფინანსური რესურსი, რომელსაც კომპანია იყენებს ბიზნესის ზრდისა და განვითარების დასაფინანსებლად. პირველადი საჯარო შეთავაზების

შემდეგ, კომპანიის აქციები საფონდო ბირჟაზე თავისუფლად მიმოიქცევა. ეს პროცესი უკვე მეორეულ ბაზარს მოიცავს, სადაც ინვესტორები ახორციელებენ აქციების ყიდვა-გაყიდვას

დასკვნა

საინვესტიციო ბანკი მნიშვნელოვან და მრავალმხრივ როლს ასრულებს საფონდო ბირჟის ფუნქციონირებაში. ის უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების მუდმივ ყიდვა-გაყიდვას, რაც ხელს უწყობს არასტაბილურობის და ფასების რყევების შემცირებას. მისი ეს ფუნქცია არა მხოლოდ ასტაბილურებს ვაჭრობას, არამედ ხელს უწყობს გარემოს, სადაც ინვესტორი დარწმუნებულია, რომ ნებისმიერ დროს შეუძლია განკარგოს თავისი ქონება, რითაც იზრდება საფონდო ბირჟის ლიკვიდურობა.

გარდა ამისა, საინვესტიციო ბანკი ხელს უწყობს მეორეული ბაზრის საერთო გამჭვირვალობასა და მთლიანობას. ვრცელი კვლევებისა და ანალიზის საშუალებით, ის პოზიტიურ როლს ასრულებს ფასიანი ქაღალდების ზუსტი ფასის განსაზღვრაში. ეს ფუნქცია ფასის ეფექტური აღმოჩენის საშუალებას

იმძლევს, რაც უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას სამართლიანი საბაზრო ღირებულებით, რაც საბოლოოდ ზრდის ინვესტორის ნდობას ბაზრის მიმართ. აგრეთვე, საინვესტიციო ბანკის კვლევები და მონაცემები ეხმარება ინსტიტუციურ ინვესტორს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც პოზიტიურად მოქმედებს ბაზრის ლიკვიდურობასა და სტაბილურობაზე. საინვესტიციო ბანკის როლი საფონდო ბირჟაზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის პროცესის ხელშეწყობაში, არამედ – გლობალური ფინანსური ბაზრების საერთო სიჯანსაღის და სტაბილურობის მხრივ.

საინვესტიციო ბანკი განაგრძობს ადაპტაციას ბაზრის ახალ მოთხოვნებთან, რეგულაციების ცვლილებებთან და ტექნოლოგიურ ინოვაციებთან. მისი უნარი ინოვაციების დანერგვაში, ბაზრის გამჭვირვალობის, ლიკვიდურობისა და ინვესტორების დაცვის უზრუნველყოფის პარალელურად, კრიტიკული იქნება საფონდო ბირჟის გამართული ფუნქციონირებისათვის.

ლიტერატურა

1. <https://www.goldmansachs.com>. (2024). Retrieved from <https://www.goldmansachs.com/what-we-do/investment-banking>
2. Fleuriet Michel. (2019). Investment Banking Explained, Second Edition: An Insider's Guide to the Industry.
3. Frederic S. Mishkin. (2018). Stanley Eakins. Financial Markets and Institutions (9th Global Edition).
4. <https://www.sec.gov>. (2024). Retrieved from <https://www.sec.gov/search-filings/standard-industrial-classification-sic-code-list>
5. Patrick J. Schultheis Robert G. Day J. Randall Lewis Shawn J. Lindquist Robert G. O'Connor . (2008). THE INITIAL PUBLIC OFFERING. Third Edition.
6. Thomas Liaw K. (2012). The business of investment banking : a comprehensive overview.

7. Zvi Bodie, Alex Kane, Alan J. Marcus. (2014). Investments, University of California, San Diego, Alan J. Marcus, Boston College.—10th Edition. San Diego,: Boston University.
 8. Kovzanadze I., Kontridze G. (2022). Modern banking, theory and practice. Tbilisi.
-

UDC 336.7

SCOPUS CODE 1401

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-1-84-88>

Investment Banks as Key Participants in Stock Exchange Transactions

Giorgi Turmanidze

Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia,
0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.

E-mail: turmanidze.giorgi22@gtu.ge

Reviewers:

M. Chelidze, Professor, faculty of business technology, GTU

E-mail: m.chelidze@gtu.ge

N. Sesadze, Associate Professor, Faculty of Business and Technologies, SEU

E-mail: n.sesadze@seu.edu.ge

Abstract. Investment banks play a pivotal role in stock exchange transactions, serving as essential intermediaries between companies and investors. This paper explores the multifaceted functions of investment banks, analyzing their influence on the efficiency of stock exchanges, price stability, and market liquidity. It highlights how investment banks specialize in securities transactions and perform various critical roles. By examining the historical evolution of investment banking, its regulatory framework, and its impact on market stability, the article underscores the positive contributions of investment banks to stock exchange operations.

Keywords: companies; investment banks; investors; stock exchange; securities.

განხილვის თარიღი 09.12.2024

შემოსვლის თარიღი 09.12.2024

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.03.2025